საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030110300383620

№ 01-576/ო **01 / დეკემბერი / 2020 წ.**

მსოფლიო ბანკის (IBRD, AIIB) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული სამედიცინო დანიშნულების საგნების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის განაწილების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის (IBRD, AIIB) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული სამედიცინო დანიშნულების საგნების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის განაწილების ორგანიზების მიზნით,

ვბრძანებ

1. მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) მიერ, მსოფლიო ბანკის (IBRD, AIIB) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული სამედიცინო დანიშნულების საგნების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის განაწილების კომისიის (შემდგომში - კომისია) ფორმირება განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენლებისაგან (როგორც წესი: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი): პოლიტიკის დეპარტამენტი; პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველო; იურიდიული დეპარტამენტი; ადმინისტრაცია; ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი; საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; შიდა აუდიტის დეპარტამენტი; მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU) - პროექტის მენეჯერი.

2. კომისიის თავმჯდომარედ განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - თამარ გაბუნია.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - გიორგი წოწკოლაური.

4. კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან/და წევრის არყოფნის (უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა) შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობს მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა განხორციელდეს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მიერ.

6. კომისიის შეკრება გაიმართება საჭიროებისამებრ, კომისიის სხდომის მოწვევის დროსა და დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

7. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კერჭისყრა გაიმართოს ღია წესით. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესახებ.

9. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხვა პირებიც სათათბირო ხმის უფლებით, ან მის გარეშე.

10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რეკომენდაციის სახით, წარედგინება საქართველოს ოკუპირებილი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ეკატერინე ტიკარაძე